ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4925360001**

თარიღი:**26/12/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2026 წლის

I კვარტლის სამუშაო გეგმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 25-ე მუხლის მესამე პუნქტისა და 50–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2026 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმები № 1, № 2, № 3 და № 4 დანართების შესაბამისად (თან ერთვის).

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა მოამზადოს განკარგულების პროექტი - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კობა გურეშიძეს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი